თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 13 თებერვალი.2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი მანუჩარ ფანჩულიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო მახათაძე, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. მანუჩარ ფანჩულიძისათვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ (თემურ ქოჩიაშვილის განცხადება №19/29230441-29, 13.02.2023 წ.).

მომხს.: მ. ფანჩულიძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282303950, 08.02.2023 წ.).

მომხს.: მ. ფანჩულიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ ფანჩულიძემ კომისიის წევრებს გააცნო თემურ ქოჩიაშვილის შვებულების განცხადება რომელშიც მოვალეობის შესრულებას აკისრებს მანუჩარ ფანჩულიძეს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული მანუჩარ ფანჩულიძისათვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის დაკისრება 2023 წლის 13 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა მანუჩარ ფანჩულიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 475.7 ათასი ლარით და შეადგენს 27207.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 900.0 ათასი ლარით. (გრანტი 900.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 424.3 ათასი ლარით. (გრანტი 424.3 ათასი ლარით სკოლის ტრანსპორტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 424.3 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება 424.3 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 900.0 ათასი ლარით, მერიის დაფინანსება გაიზარდა 145.0 ათასი ლარით. თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 150.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 465.0 ათასი ლარით. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით. თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირება გაიზარდა 14.0 ათასი ლარით; სახელოვნებო სკოლების სუბსიდირება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით; ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით. კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით; მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 13.0 ათასი ლარით; საგამომცემლო საქმიანობა გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20

დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი

მანუჩარ ფანჩულიძე